საქართველოს რესპუბლიკა



№85. ხუთშ

აკადემიკოსი დროში

მუდამ ქვეყნისა და მეცნიერების სამსახურში

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე – 100

ასი წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის დაბადებიდან. იგი საზოგადოების ხსოვნაში დარჩა როგორც ფართო მასშტაბის მეცნიერი, პუბლიცისტი, პედაგოგი და სახელმწიფო მოღვაწე. ყველა ამ მიმართულებით მისი საქმიანობა იყო შემოქმედებითი, ძალიან პროდუქტიული და მრავალმხრივი.

ხუთასზე მეტი მეცნიერული გამოკვლევის, სამოცამდე მონოგრაფიის, ასეულობით საჟურნალო და საგაზეთო სტატიის ავტორი, იგი დამაჯერებლად წარმოაჩენდა თანამედროვეობისა თუ წარსულის არაერთ მნიშვნელოვანსა და აქტუალურ პრობლემატიკას. ლიტერატურის, ესთეტიკის, პედაგოგიკისა და ფილოსოფიის საკითხებს იგი განიხილავდა ევროპული მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინებით; ჰუმანიტარულ აზროვნებას იკვლევდა სხვადასხვა მიმართულებით. ამ კვლევათა შედეგია მისი შესანიშნავი მონოგრაფიები: „რუსოიზმის არსი“, „ფროიდის ფსიქოანალიტიკური ესთეტიკა“, „ავიცენას სისტემები“, „იან ამოს კომენსკის ფილოსოფია“ და სხვ., რომელთაც მაღალი საკავშირო და საერთაშორისო შეფასება დაიმსახურეს.

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე არაერთხელ გამოსულა მრავალ ევროპულ ქალაქში (ჟენევა, პარიზი, ვენა, პრაღა, ბერლინი, დრეზდენი, ბუქარესტი...) ლექციებითა და მოხსენებებით. იასისა და ბუქარესტის უნივერსიტეტებში წაკითხულმა ლექციების სერიამ, რომლის საერთო სათაური იყო „საქართველო ევროპული ცივილიზაციის ასპექტებით“, დიდი აღიარება პოვა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ლექციათა ამ ციკლმა უცხოელ კოლეგებს ცხოველი ინტერესი აღუძრა ქართული კულტურისა და ცივილიზაციის მიმართ.

აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის სამეცნიერო კვლევა-ძიების თემატურ მრავალფეროვნებაში ყველაზე დიდსა და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართული ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა. მან არა ერთი და ორი ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა ქართველ კლასიკოს მწერალთა შემოქმედების ანალიზსა და შეფასებას.

აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის რუსთველოლოგიური ძიებები, რომლებიც მან ახალგაზრდობაში დაიწყო და შემდგომ გააღრმავა, დაგვირგვინდა მონოგრაფიით – „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“, რომელშიც „ვეფხისტყაოსანი“ გაანალიზებულია საკუთრივ ესთეტიკის, პოეტიკისა და ეთიკის ასპექტში. ამ ნაშრომში ბევრი რამ არის გარკვეული რუსთაველის ფილოსოფიის შესწავლის თვალსაზრისითაც. ავტორის დასაბუთებული მტკიცებით, ზნეობრივ ღირებულებებს რუსთაველთან ესთეტიკურ ფენომენთა ღირებულება აქვს, დიდი პოეტის ესთეტიკური იდეალები კი მისი გენიალური თხზულების პოეტიკაში პოულობს სრულყოფილ ხორცშესხმას.

ფასდაუდებელი ეროვნულ-კულტურული და მეცნიერული ღირებულება აქვს ენციკლოპედიური ხასიათის ვრცელ, ორტომიან გამოკვლევას „ილია ჭავჭავაძე“ (1986 წელს მიიღო საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია), რომელშიც კომპლექსურად არის შესწავლილი ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობისა და მრავალფეროვანი მემკვიდრეობის ყველა მხარე, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის ამ მონოგრაფიის ღირსება. ავტორმა ბევრი საინტერესო სიახლე შეიტანა არა მარტო ილიას მხატვრული ტექსტების განხილვაში, არამედ პუბლიცისტიკის, პოლიტიკური ეკონომიის, ესთეტიკისა და ილიას თვით ბიოგრაფიის საკითხებთან დაკავშირებითაც.

სიყვარულითა და შთაგონებითაა შექმნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და სხვა ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები. არაერთი ნაშრომი მიუძღვნა აკად. გ.ჯიბლაძემ XX საუკუნის ქართულ მწერლობას. განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება გალაკტიონისა და გიორგი ლეონიძის პოეზიისადმი, მის აღფრთოვანებას ინვევდა კონსტანტინე გამსახურდიას პროზა. მკვლევარი ამ სახელოვან სამეულს განიხილავდა როგორც მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის უშორესი წიაღიდან ამოზრდილ თავისთავადსა და დიდებულ მოვლენას.

განუზომელი ამაგი დასდო აკად. გ.ჯიბლაძემ თანამედროვე ქართული პედაგოგიკისა და ესთეტიკური აღზრდის ძირითად მიმართულებებს, რომელთაგან უმეტესის ჩამოყალიბება-განვითარება მის სახელთანაა დაკავშირებული. მისი წიგნები: „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი“ (1969 წ. დაჯილდოვდა ი.გოგებაშვილის სახელობის პრემიით), „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“, ზემონახსენები „კომენსკის ფილოსოფია“ (1973 წ. მიიღო ჩეხოსლოვაკიის იან ამოს კომენსკის სახელობის ოქროს მედალი; 1982 წ. – კ.დ. უშინსკის სახელობის სახელმწიფო პრემია), „პედაგოგიკა და მეთოდიკა“, ფრანგულ ენაზე პარიზში დაბეჭდილი, დღეისათვის ძალიან აქტუალური „ქართულის, როგორც არამშობლიური ენის შესწავლის მეთოდები და საშუალებები“ – ის ნაშრომებია, რომლებმაც გარკვეული სისრულით წარმოადგინეს ავტორის, როგორც პედაგოგიკის თეორეტიკოსისა და უმაღლესი სკოლის პრაქტიკოსი პედაგოგის ფართო ერუდიცია და მაღალი კომპეტენცია. ინგლისელი მეცნიერი დევიდ ლანგი „ესთეტიკური აღზრდის პრინციპის“ შესახებ აღნიშნავდა: „ამ წიგნის მნიშვნელობა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ამას მისი მოკრძალებული სათაური გულისხმობსო“. დასახელებული მონოგრაფია მართლაც რომ ახალი ეტაპი იყო ესთეტიკური აღზრდის თეორიის განვითარებაში.

> *სულის შემძვრელია მისი უკანასკნელი ნაშრომი – „ღია წერილი ჩემს მეგობრებს“, რომელიც მან XIX პარტკონფერენციისადმი აფხაზთა ცნობილი მიმართვის საპასუხოდ დაწერა.*
>
> *როგორც მისი უფროსი ქალიშვილი მანანა ჯიბლაძე წერს: „იგი დაიწერა 1989 წლის 11 აპრილს, სწორედ იმ დღეს, როცა მისი უკვე შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რაშიც 9 აპრილის ტრაგედიამ, ეჭვს გარეშეა, დიდი როლი ითამაშა. მამა ამ თავის აღსარებასა და ანდერძს ლოგინად ჩავარდნილი წერდა. მან ვერ მოასწრო ამ ღია წერილის გამოქვეყნება, ვინაიდან რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში დავაწვინეთ და მალე ის ჩვენგან წავიდა...“*

აკად. გიორგი ჯიბლაძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჟურნალისტურ მოღვაწეობას, რომლითაც დაიწყო მისი შრომითი საქმიანობა, როცა სტუდენტობისას 19-20 წლის ჭაბუკმა რამდენიმე საგაზეთო წერილი გამოაქვეყნა და სხვადასხვა გაზეთის რედაქციებში მუშაობას შეუდგა. მისი უკანასკნელი პუბლიკაცია 1987 წლით თარიღდება. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე (57 წელი) იგი მოვალედ გრძნობდა თავს, სისტემატურად ეთანამშრომლა ცენტრალურ თუ პერიფერიულ ჟურნალ-გაზეთებთან და ხელი შეეწყო ქართული ჟურნალისტიკის განვითარებისათვის. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა ჟურნალისტიკის კათედრა, შემდეგ ესთეტიკის კათედრაც. ამ კათედრებზე, რომელთა გამგეც იყო სხვადასხვა დროს, აღიზარდა თაობები, რომლებმაც შემდგომში ესთეტიკური და ჟურნალისტური აზროვნების ბირთვი შეადგინა.

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე იყო რამდენიმე აკადემიის წევრი, მათ შორის საბჭოთა კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად 1955 წელს აირჩიეს, ხოლო ნამდვილ წევრად 1959 წელს. იყო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ენისა და ლიტერატურის განყოფილების ბიუროს წევრი, რამდენიმე სამეცნიერო კომისიისა და საბჭოს თავმჯდომარე. იგი, როგორც მეცნიერების ორგანიზატორი, გამორჩეული იყო.

ბატონი გიორგი ჯიბლაძის ცხოვრების მეორე მხარეს წარმოადგენდა მისი საზოგადოებრივი და, სამართლიანი იქნება, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, რაც მისი ბიოგრაფიის ერთი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო. გიორგი ჯიბლაძემ გაიარა თითქმის ყველა საფეხური, როგორც ჟურნალისტის, პედაგოგის, მეცნიერისა და მეცნიერების ორგანიზატორის, ისე სახელმწიფო მოღვაწის გზაზე. ამ გზას ჩვეულებრივი, ორდინარული ადამიანის ერთი და ორი ცხოვრება არ ეყოფოდა. მარტო მაღალი პარტიული და სახელმწიფოებრივი თანამდებობების უბრალო ჩამოთვლაც კი დაგვარწმუნებს ამაში: 1946-1951 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველ მოადგილედ; 1951-1953 წწ. – საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად; 1953 წლის აპრილიდან სექტემბრამდე – საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგედ; 1953-1960 წწ. – საქართველოს სსრ განათლების მინისტრად; 1960-1961 წწ. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად; 1963-1980 წწ. – საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად, 1986 წელს არჩეულ იქნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იგი იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს ცხრაგზის მოწვევის დეპუტატი, ეს ჩამონათვალი მაინც არ იქნება ზუსტი.

ყველგან, სადაც კი თანამდებობაზე უმუშავია, გიორგი ჯიბლაძის ხედვა და მიდგომები იყო სახელმწიფოებრივი, იყო სამშობლო ქვეყნისა და ხალხის, მისი კულტურისა და ლიტერატურის საკეთილდღეო. იგი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით სისხლხორცეულად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქვეყნის ბედსა და უბედობაში. საკუთარი შვილიშვილის ტრაგედიაზე ნაკლებ არ განუცდია მას ახალგაზრდების დაღუპვა 9 აპრილს. თავზარდამცემი იყო მისთვის აფხაზეთში დატრიალებული ამბები. სულის შემძვრელია მისი უკანასკნელი ნაშრომი – „ღია წერილი ჩემს მეგობრებს“, რომელიც მან XIX პარტკონფერენციისადმი აფხაზთა ცნობილი მიმართვის საპასუხოდ დაწერა.

როგორც მისი უფროსი ქალიშვილი მანანა ჯიბლაძე წერს: „იგი დაიწერა 1989 წლის 11 აპრილს, სწორედ იმ დღეს, როცა მისი უკვე შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რაშიც 9 აპრილის ტრაგედიამ, ეჭვს გარეშეა, დიდი როლი ითამაშა. მამა ამ თავის აღსარებასა და ანდერძს ლოგინად ჩავარდნილი წერდა. მან ვერ მოასწრო ამ ღია წერილის გამოქვეყნება, ვინაიდან რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში დავაწვინეთ და მალე ის ჩვენგან წავიდა...“

„ღია წერილი“ ხუთი წლის შემდეგ მანანამ გამოაქვეყნა „საქართველოს რესპუბლიკაში“. იგი აქტუალური იყო მაშინ, როცა დაიწერა, მერეც, როცა გამოქვეყნდა და დღესაც აქტუალურია. ეს მიმართვა დაწერილია სახელმწიფო მოღვაწის, ქვეყნის პატრიოტისა და ჰუმანისტის, აფხაზი ხალხის ძველი მეგობრისა და ნამდვილი მოკეთის მიერ. „თქვენ კარგად იცით, – მიმართავდა იგი აფხაზ მეგობრებს, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრებით ვემსახურებოდი ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობას. ამას დღეს კი არ ვნანობ, პირიქით, საამაყოდ მიმაჩნია, ვინაიდან ქართულ კლასიკაზე აღზრდილ კაცს ყოველთვის ფანატიკურად მწამდა, რომ ჰუმანისტი-დემოკრატი ის არის, ვინც ერთა შორის მტრობას ებრძვის, ხალხთა სიყვარულს განადიდებს და ემსახურება, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე“.

აკად. გიორგი ჯიბლაძე იყო გამორჩეულად ზნემაღალი პიროვნება: პატიოსანი, გულმართალი, დიდსულოვანი, კეთილი და კეთილმოსურნე, ხელგაშლილი – ყველა საუკეთესო ქართული თვისებით შემკული, მათ შორის არტისტიზმითაც, რის წყალობით, ორატორული ხელოვნების სიმაღლეებს სწვდებოდა, მაგრამ მის ყველაზე ღირსეულ თვისებად ადამიანებს მიაჩნდათ ის, რომ აკად. გიორგი ჯიბლაძე იყო მოვალეობის კაცი. საკუთარ მოვალეობად კი ის ქვეყნისა და მეცნიერების სამსახურს ისახავდა, რაც პირნათლად და სამაგალითოდ აღასრულა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

შალვა ნუცუბიძე
და პეტერბური

თბილისი
2013

მხატვარი გ. თოიძე

100 წელი შესრულდა აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის დაბადებიდან...

სრულიად ლოგიკურია, კიდევ ერთხელ წარმოვიდგინოთ ამ თვალსაჩინო სწავლულისა და საზოგადო მოღვაწის უნიკალური მრავალფეროვნებით აღბეჭდილი ღვაწლი და ამით პატივი მივაგოთ მის ჭეშმარიტად ნათელ ხსოვნას.

გიორგი ჯიბლაძის გონებრივი თვალსაწიერი ღრმად სწვდებოდა მეცნიერების მრავალ სფეროს – ლიტერატურის ისტორიას, თეორიასა და კრიტიკას, ფილოსოფიასა და ესთეტიკას, პედაგოგიკასა და მეთოდიკას...

სრულიად გამორჩეულია მისი როლი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში.

შეუძლებელია, ამ წერილის ფარგლებში, თუნდაც მიახლოებით წარმოჩნდეს ის კოლოსალური ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის ამ დარგის წინაშე...

იგი იშვიათი გატაცებით იკვლევდა ჩვენს დიდ ეროვნულ სულიერ საუნჯეს.

მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, იგი ახერხებდა ჩასწვდომოდა მხატვრულ სიტყვაში გაცხადებული ქართული სულის მშვენიერებას და მისთვის ჩვეული ამაღლებული ფიქრით საცნაური გაეხადა იგი მკითხველისათვის...

განსაცვიფრებელია გიორგი ჯიბლაძის შემოქმედებითი საქმიანობის სივრცე... მას ეკუთვნის ხუთასამდე მეცნიერული გამოკვლევა. იგი ავტორია 58 ცალკე წიგნად გამოცემული მონოგრაფიისა, ასეულობით საჟურნალო და საგაზეთო სტატიისა, რომლებშიც წარმოჩენილია თანამედროვეობისა

თუ გარდასულის არაერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემატიკა...

მისთვის თანაბრად „ახლობელი“ იყო ქართული მწერლობის განვითარების მთლიანი სპექტრი... ყოველ მწერალს წარმოაჩენდა არა მხოლოდ ლოკალურად, საკუთარი ინდივიდუალობით, არამედ ზოგადი ორიენტირებითაც...

თავს უფლებას მივცემ, შევჩერდე მხოლოდ რამდენიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მონოგრაფიაზე, რათა ზოგადი წარმოდგენა შევქმნა მეცნიერის კვლევის მეთოდოლოგიასა და დიაპაზონზე...

ბატონმა გიორგიმ ილია ჭავჭავაძეს მიუძღვნა ორტომიანი მონოგრაფია... ეს ფუნდამენტური ნაშრომი სრულ წარმოდგენას გვაძლევს XIX საუკუნის მეორე ნახევრის გენიალური ქართველი მოღვაწისა და მწერლის ცხოვრებასა და ღვაწლზე...

ავტორი საფუძვლიანად აანალიზებს ერის სულიერი მოძღვრის მხატვრულ შემოქმედებას... ფრიად ორიგინალურად წარმოაჩენს მისი შემოქმედების თეორიულსა თუ ფილოსოფიურ პრობლემატიკას...

ამ მონუმენტურ გამოკვლევაში ვრცლადაა ახსნილი ილიას არა მხოლოდ ტრაგიკული და ამაღლებული ცხოვრების გზა, არამედ ურთულესი სააზროვნო პარადიგმებით აღბეჭდილი მხატვრული სამყარო და მსოფლხედვა...

მონოგრაფიაში ანალიზის ობიექტადაა ქცეული ილიას პოეზია, პროზა, დრამატურგია, პუბლიცისტიკა, ჟურნალისტიკა, კრიტიკა, საბანკო და სხვა მრავალი საზოგადოებრივი საქმიანობა...

მკვლევარი წარმოაჩენს, თუ რა უსაზღვროდ ვრცელი და ღრმა იყო ილიას გონებრივი დიაპაზონი, რომელიც თავის მხრივ განაპირობებდა მისი შემოქმედების სააზროვნო

პარამეტრებს... სრულიად ახალი და პროვიდენციული იდეალებით აღბეჭდილი, როგორ ჩასწვდა იგი ამოუცნობ ლაბირინთებად გარდასახულ სინამდვილეს, ქვეყნის ეროვნულსა და სოციალურ ყოფას...

როგორც მეცნიერი აღნიშნავს, „თავისი დროის ყოფნა-არყოფნის ჭიდილში ილია არკვევდა სოციალურ პრობლემას, ეძებდა სოციალურ უბედურებათა მიზეზებს; ზოგჯერ იგი სხვა გამოსავალს ვერ პოულობდა, გარდა იმისა, რომ წმინდა სოციალურს თავისი ქვეყნისას უკავშირებდა ქართველობის ზოგად ცნებას, ურომლისოდ მას საერთოდ ვერ წარმოედგინა ერის ძალა, რომელიც საყოველთაო ბედნიერების ბურჯად უნდა აგებოდა“, მაგრამ ამას ხელს უშლიდა ერის შიგნით არსებული გათიშულობა, რომლის გამო ილია პირდაპირ გოდებდა: „განვთითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასო დავიჭერით, და მაგ განთვითეულობამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველისფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითოეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რა-საკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი აღარც შეგვრჩა“...

ამიტომ იყო, რომ მას სწორედ „საყოველთაო საქართველოს სიკეთის“ იდეა მიაჩნდა ტრაგიკული ეროვნული ვითარებიდან ხსნის ერთადერთ საშუალებად...

მონოგრაფიაში ამ მომენტის წინა პლანზე წამოწევით მკვლევარი ცხადყოფს, რომ ილიას ინტელექტუალური გაკვეთილები ყოველთვის უაღრესად აქტუალურია და რომ მისი ბრძნული შეგონებანი მომავალში კიდევ უფრო ძალმოსილნი წარსდგებიან უმძიმეს პრობლემათა წინაშე მდგარი შთამომავლობის წინაშე...

დიდი შთაგონებითაა შექმნილი გამოკვლევები ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და სხვა ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებისა...

„მერანის“ ავტორის პოეზიაზე მსჯელობა მთელი სიღრმით წარმოსახავს ქართული რომანტიზმის გენეზისის საკითხს, ახასიათებს მის მიმართებას დასავლეთ ევროპულ და რუსულ რომანტიზმთან, ნათელს ჰფენს ქართული რომანტიზმის ინდივიდუალურ ესთეტიკასა და იდეოლოგიას...

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მიხეილ ლერმონტოვის, ქართული და რუსული რომანტიზმის ამ ორი ტიპიური წარმომადგენლის შემოქმედების შედარებითი ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ რომანტიზმს, როგორც დასავლეთ ევროპასა და რუსეთში, ისე საქართველოში გააჩნდა საკუთარი წარმომავლობა და საფუძველი... და, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა ახალი სული შთაბერა და მანამდე არნახულ სიმაღლემდე აზიდა ის არქეტიპული ტენდენციები, რომელნიც ნიადაგ ეროვნული სულის მოთხოვნილებებს წარმოადგენდნენ...

ბრწყინვალე ნარკვევში „მერანის“ შესახებ გიორგი ჯიბლაძე მსჯელობს ნაწარმოების ზოგადფილოსოფიურ კონცეფციაზე, მიაჩნია რა, რომ „მერანში“ ხორცშესხმულია ქართველი ერის საკრალური იდეალები... კომპარატივისტული კვლევისას იგი ავლებს პარალელს მიცკევიჩის „ფარისსა“ და სიული პრუდომის „ჭენებას“ შორის და მიდის იმ მართებულ დასკვნამდე, რომ „მერანი“, როგორც ფილოსოფიური სიღრმით, ისე მხატვრული სრულყოფილებით, გაცილებით მაღლა დგას ანალოგიური პრობლემატიკით აღბეჭდილ მსოფლიო ლიტერატურის სხვა ნიმუშებზე...

კვლევის ამავე რკალში მოიაზრება აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ნარკვევი. მასში ანალიტიკური თვალთახედვითაა წარმოდგენილი პოეტის ესთეტიკური შეხედულებანი, კერძოდ, რეალიზმის აკაკისეული კონცეფცია, მისი დამოკიდებულება რუს სამოციანელთა იდეურ-მხატვრულ შეხედულებებთან... ამ ჭრილშია ნაჩვენები მისი თავისთავადი და ორიგინალური შემოქმედებითი სახე...

ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ წარსულისადმი დამოკიდებულების მისეული მოდუსი არ არის განსხვავებული რომანტიკოსთა შეხედულებებისაგან...

აკაკიც წარსულში ეძიებდა იდეალს, აცოცხლებდა და აღმერთებდა ისტორიულ გმირებს, რათა თანამედროვეთა სულიერ აღორძინებას და მომავლისაკენ სწრაფვას მისცემოდა მძლავრი იმპულსი...

გიორგი ჯიბლაძე, როგორც ერთი ბრწყინვალე „ვაჟალოგი“, დიდის რუდუნებით იკვლევს „ჩარგლელი ბრძენის“ გრანდიოზულ მხატვრულ სამყაროს...

მკვლევარი ვაჟას ეროვნული სულის უნიკალურ ფენომენად მიიჩნევდა... დიდი შემოქმედისადმი მიძღვნილ ანალიტიკურ ოპუსში მშვენივრადაა დანახული მხატვრული ანთროპომორფიზმის განსხვავება მსოფლმხედველობრივი ანთროპომორფიზმისაგან... წარმოდგენილია მითის მხატვრული ტრანსფორმაციის პროცესი და პერსონიფიკაციის მხატვრული ხერხის მეტაფორული არსი...

მკვლევრის აზრით, ბუნება ვაჟას შემოქმედებაში ანთროპომორფულია, რაც იმას ნიშნავს, რომ პოეტურ სახეებში მან „ცხოვრების ფილოსოფია გადმოგვცა“ და არა თვითკმარი ბუნების ეგზოტიკური არსი, რომ ვაჟა უღრმესი სემანტიკით აღბეჭდავდა მითოლოგიურ რეფლექსიებს...

ანიჭებდა რა მათ გამომსახველობასა და მხატვრულ-მეტა-ფორულ სიცოცხლეს...

ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიძღვნილ ნაშრომში პრი-ორიტეტი ენიჭება მწერლის თანამედროვეობასთან კავ-შირს... წინა პლანზეა წამოწეული თავისუფლებისათვის ბრძოლის მოტივი და პერსონაჟთა მოქმედების მორალური პასაჟები....

ცალკეა განხილული ალ.ყაზბეგის ესთეტიკის არსებითი კონცეპტები და განსაზღვრულია მისი მხატვრული მეთო-დოლოგიის რთული და ფრიად ორიგინალური სტრუქტურა...

ქართველ სამოციანელთაგან გიორგი ჯიბლაძის კვლე-ვის არეალში მოექცა აგრეთვე გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის ლიტერატურული და საზოგა-დოებრივი მოღვაწეობა...

არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა გიორგი ჯიბლაძემ XX საუკუნის ლიტერატურულ პროცესებს... იგი ამ ტრაგიკუ-ლი საუკუნის სულიერი ცხოვრების ჭეშმარიტ მემატიანედ იქცა...

განსაკუთრებული იყო მისი თაყვანისცემა გალაკ-ტიონის მიმართ... ამ გენიალური პოეტისადმი მიძღვნილ ნარკვევში მკვლევარი წარმოგვიდგენს მის შემოქმედებით გზას... სიმბოლიზმის კონცეპტუალური ანალიზის შემდეგ იგი ვრცლად საუბრობს გალაკტიონის სიმბოლისტურ რე-ციდივებზე, ლექსების თემატურ მრავალფეროვნებასა და პოეტის უმაღლეს ხელოვნებაზე. მისი თქმით – „თუ ვინმემ აგრძნობინა ვაჟას შემდეგ ჩვენს მკითხველს დიდი პოეტუ-რი ძალა, ქართული ლექსის სილამაზე, მრავალფეროვნება, მისი შესაძლებლობის განუსაზღვრელი ფართო ველი, სი-ლაღე და ფანტაზიის ნავარდი – ეს გალაკტიონ ტაბიძე იყო, რომლის მძლავრ პოეტურ სიმფონიაში თავის საწყი-

სებს პოულობდნენ XX საუკუნის ქართველ პოეტთა მთელი თაობები. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო, თუ სწორედ მან დაუდო სათავე დღევანდელ ჩვენს პოეტურ მაჯისცემას, როგორც შთაგონებული ქართული ლექსის დიდმა ნოვატორმა და უბადლო ხელოვანმა“.

ამ საუკუნის ქართული პოეზიის კიდევ ერთი ფავორიტი მისთვის გიორგი ლეონიძე იყო... მისდამი მიძღვნილი აპოლოგეტური ლიტერატურული პორტრეტის რეზიუმე ასეთია: „მსოფლიო ლიტერატურულ კრიტიკას მშვენიერების განმადიდებელ პოეტთა ლექსების ანალიზი რომ მოეხდინა, ერთ-ერთ პირველ ადგილზე ჩვენ უეჭველად გიორგი ლეონიძესაც ვიხილავდით – მშვენიერება, სიჭაბუკე, მისი სულის შინაგანი სტიქია იყო! სილამაზეს უყურებდა როგორც ლექსის მხატვრული ოსტატობის პირველ სახელს, ხოლო სიჭაბუკე მიაჩნდა ლექსისაგან განუყრელად, როგორც „ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“, ამიტომ – „წავა ლექსი და წაიღებს ახალგაზრდობის ნიშანსა“...

მასში, როგორც ლიტერატორში, აღფრთოვანებას იწვევდა კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული შემოქმედება, მიიჩნევდა რა, რომ „იგი უეჭველად დიდი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში, ორიგინალური, თავისთავადი მოვლენა, რომლის ფესვები მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის უშორეს სიღრმეშია ამოზრდილი და განრთხმული“...

აღსანიშნავია ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი გიორგი ჯიბლაძის ერთობ ლირიკული ჩანახატი... და ეს სრულიად ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამის საფუძველს იძლეოდა არა მხოლოდ ლადო ასათიანის ბრწყინვალე პოეზია, არამედ ჭაბუკობიდანვე მათი ახლო მეგობრული ურთიერთობა...

არ დარჩენილა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა მისი განსაკუთრებული ყურადღების გარეშე... ქართული მწერლობისა და ინტელექტუალური ყოფიერების მაჯისცემას იყო ნიადაგ მიყურადებული...

მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს კრიტიკა წარმოადგენდა...

მან მშვენივრად იცოდა, რომ კრიტიკოსის შრომა, ტრადიციულად, განსაკუთრებულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული... რომ მას ფილოსოფიურ თუ სოციოლოგიურ განსწავლულობასთან ერთად, ესთეტიკური აზროვნების, ხელოვნების თეორიისა და კრიტიკის ისტორიის საგანგებო ცოდნა ესაჭიროებოდა... და თუ ყოველივე ამას მხატვრული მოვლენების საფუძვლიანი ანალიზის, დახვეწილი გემოვნებისა და ზუსტი შეფასების ბუნებრივ ნიჭსაც დავუმატებთ, ნათელი გახდება კრიტიკოსის ჯიბლაძისეული მოდელი...

ასევე წარმატებით იკვლევდა იგი რუსული და მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა შემოქმედებას... ბევრ მათგანს პირადად იცნობდა და მეგობროდა კიდეც.... ამ მხრივ საგულისხმოა მისი ურთიერთობა მიხეილ შოლოხოვთან, მისი ვრცელი მონოგრაფია ნობელიანტ მწერალზე...

ძალზედ დიდია გიორგი ჯიბლაძის წვლილი ესთეტიკის კარდინალური საკითხების შესწავლაში... მისი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი – „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“, საფუძვლად დაედო ჩვენში ესთეტიკის პრობლემებისადმი ინტერესთა გააქტიურებას.

საეტაპო მნიშვნელობისაა მისი წიგნი „ესთეტიკური თეორიის საკითხები“, რომელშიც მთელი სისავსითაა წარ-

მოჩენილი უმნიშვნელოვანესი პრობლემები: „სოციალური ესთეტიკის საკითხისათვის“; „სისადავის პრობლემა მხატვრულ შემოქმედებაში“; „რენესანსის ესთეტიკური იდეალები“; „რუსთაველის ესთეტიკური პრობლემატიკა“; „პოეტიკურ-ესთეტიკურ ტერმინთა ისტორიისათვის“ და სხვ...

აღნიშნული ნაშრომები კიდევ ერთხელ წარმოგვიდგენენ მათი ავტორის დიდ განსწავლულობას მსოფლიოს ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების ისტორიაში, ხელოვნების თეორიასა და ესთეტიკაში...

ფასდაუდებელი ამაგი დასდო გიორგი ჯიბლაძემ ქართული ესთეტიკური აზრის მეცნიერულ კვლევას...

სანიმუშოა მისი „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“, რომელშიც გენიალური პოეტის მსოფლმხედველობა და ხელოვნება წარმოდგენილია მსოფლიოს თეორიული და მხატვრული აზროვნების გენეზისის კონტექსტში. მასში გაანალიზებულია რუსთაველის პოეტიკა, ესთეტიკა და ეთიკა, და სწორედ ამ ფონზეა ახსნილი „ვეფხისტყაოსნის“ სემანტიკა, როგორც მსოფლიო სულიერი კულტურის შედევრისა...

ფრიად საგულისხმოა ისიც, რომ სწორედ გიორგი ჯიბლაძეა ის პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ზიგმუნდ ფროიდის ანალიტიკური მემკვიდრეობის თეორიულ-ესთეტიკური პარადიგმა და წარმოადგინა იგი თავის ცნობილ მონოგრაფიაში – „ფროიდიზმის ანალიტიკური ესთეტიკის კრიტიკისათვის“...

ავტორი, ერთი მხრივ, ხაზგასმით მიუთითებს ფროიდის ფსიქოანალიტიკური მეთოდის პოზიტიურ შედეგებზე მედიცინის სფეროში, მეორე მხრივ კი, იძლევა ამ მეთოდის კრიტიკულ შეფასებას, მიუღებლად მიაჩნია რა მხატვრული შემოქმედების ბუნების ამოსაცნობად მისი აკვიატებული გამოყენება...

საგანგებო აღიარებას იმსახურებს გიორგი ჯიბლაძის ღვაწლი ქართული პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში... მისი დიდი და შთამბეჭდავი მონოგრაფია – „კომენსკის ფილოსოფია“ სრულიად ლოგიკურად დაჯილდოვდა ჩეხოსლოვაკეთის საპატიო სახელმწიფო ჯილდოთი – კომენსკის სახელობის ოქროს მედლით...

აღსანიშნავია ის, რომ იგი იკვლევდა პედაგოგიკის ფილოსოფიურ საფუძვლებს და ისიც, რომ ნაშრომში სათანადოდაა წარმოდგენილი ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორია, კერძოდ, პეტრიწის, რუსთაველის, არსენ იყალთოელისა და სხვათა შეხედულებანი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი „რუსოიზმის არსი“ და „ავიცენას სისტემები“, როგორც პედაგოგიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი მონაპოვარი...

გიორგი ჯიბლაძე პრაქტიკულადაც ემსახურა მისთვის ამ დიდ საქმეს – წლების განმავლობაში პირადად ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლების სისტემას...

იგი იყო ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, აზროვნების მაღალი კულტურით აღბეჭდილი ინტელექტუალი, რომელიც მკითხველსა თუ მსმენელს შთააგონებდა ღირებულებათა წვდომის უნივერსალურ მეთოდოლოგიას, ლოგიკური აზროვნების, ინტუიციისა და განჭვრეტის უნიკალურ ხელოვნებას...

მისი მედიტაციებისათვის უცხო და მიუღებელი იყო „პათეტიკური ცდომილებანი“, ანუ „მიზეზთა“ გამო ნეგატიურის პოზიტიურად წარმოდგენა, ან პირიქით...

მის ნააზრევს ნიადაგ აცხოველებდა პოეტური შეფერილობა, ემოციური მუხტი, ამაღლებული ობერტონები... ეს ყოველივე აჯადოებდა და თავის ორბიტაში აქცევდა მკითხველს...

ზეშთაგონებისა და ადამიანური გონის ბედნიერი სინთეზი ამ რაფინირებული ინტელიგენტის მენტალობის განმსაზღვრელი ნიშან-თვისება იყო...

აქედან იღებდა დასაბამს მისი აზროვნების „ანატომია“ – სინთეზის პრევალირება მშრალი ანალიზის მეთოდზე, ლტოლვა უნივერსალიზმისაკენ და კულტუროლოგიური სივრცეების კონცეპტუალური ინტერპრეტაციისაკენ...

გიორგი ჯიბლაძე გახლდათ არა მხოლოდ გამორჩეული კალმოსანი, არამედ ბრწყინვალე ორატორიც... მისი „ოქროპირობა“ აღაფრთოვანებდა ყველას, ვისაც მისი ლექციები ან საჯარო გამოსვლები მოუსმენია...

იგი აქ, ამ შემთხვევაშიც ახერხებდა ყოფილიყო ბრწყინვალე ინტერპრეტატორი სამყაროს სულიერ ღირებულებათა მრავალრიცხოვანი გამოვლინებისა, წარმომჩენი მათი ონტოლოგიური ბუნებისა და არსისა, მათი მარად ცოცხალი ემოციური პულსაციისა...

ასე და ამგვარად იცხოვრა და იღვაწა XX საუკუნის ამ დიდებულმა მეცნიერმა, მოღვაწემ და მოქალაქემ... მხოლოდ ასეთს – ამაღლებულს, მშვენიერსა და სათნოებით შემკულს იცნობდნენ მას...

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი ერის განვითარების ყოველი ახალი გონიერი ეტაპი, კვლავ და კვლავ მიუბრუნდება ინტელექტუალური წრთობის იმ უნივერსალურ გამოვლინებებს, რომელთაც განსაზღვრეს და შეძლეს საკაცობრიო საზროვნო პროცესებში ჩართვა, ქართული სულიერების კლასიკურ სიმაღლეზე ატანა და წარმოჩენა...

მხოლოდ ამ კონტექსტში, კულტურული მეხსიერების ამ „ელიზიუმში“ მოვიაზრებ გიორგი ჯიბლაძის ფენომენს, შთამაგონებელი ინტელექტუალიზმისა და რენესანსული სულისკვეთების ამ ჭეშმარიტ განსახიერებას...

გიორგი ჯიბლაძის ძირითადი შრომები

1. ადამიანისა და სიკეთის ცნებები „ვეფხისტყაოსანში“// მეცნიერება და ტექნიკა, 1966, № 9, გვ. 1-6.

2. ალექსანდრე წულუკიძის ლიტერატურული შეხედულებანი. თბ., 1946 წ., 50 გვ.

3. ამაღლებულის ესთეტიკური ფასეულობა, ღირებულება და ესთეტიკური კატეგორიები//კრ. ესთეტიკური ძიებანი, თბ., „მეცნიერება“, 1984 წ., გვ. 3-15.

4. ამაღლებულის ერთი ანტინომიის საკითხისათვის//კრ. ესთეტიკური ძიებანი II, თბ., „მეცნიერება“, 1986 წ., გვ. 7-15.

5. ახალი ისტორიული ტრილოგია (გ.გულიას რომანები – „ფარაონი ეხნატონი“, „კაცი ათენიდან“, „სულა“//მნათობი, 1973 წ., № 12, გვ. 133-171.

6. ბარათაშვილი – პოეტი-გიმნაზისტი//კრ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. საიუბილეო კრებული, თბ., „მეცნიერება“, 1968 წ., გვ. 5-21.

7. ბარათაშვილის პოეტური გენია. მონოგრაფია. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1968 წ., 487 გვ.

8. ბესიკის პოეტური იდეალი//მნათობი, 1981 წ., № 7, გვ. 126-143.

9. განათლება [საქართველოში]. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1976 წ., 51 გვ.

10. გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში// მნათობი, 1943, № 1, გვ. 116-140.

11. გიორგი ლეონიძის პოეზია//ლიტერატურული გაზეთი, 1955 წ., 11 თებერვალი, გვ. 2-3; 18 თებერვალი, 3-4.

12. გიორგი წერეთლის შემოქმედება//მნათობი, 1941 წ., № 4, გვ. 93-108; № 5, გვ. 122-135.

13. გონების ორგვარი უსასრულობის პრობლემა//მნათობი, 1972 წ., № 7, გვ. 116-123.

14. დაპროგრამებული სწავლებისა და სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების პრობლემები//სკოლა და ცხოვრება, 1971, № 4, გვ. 55-72.

15. ესთეტიკა და კრიტიკა//მნათობი, 1947, № 6, გვ. 136-148.

16. ესთეტიკური აღზრდის პრინციპები. ტ. I, თსუ-ს გამ-ბა, 1968 წ., 414 გვ.

17. ესთეტიკური თეორიის საკითხები. თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1961 წ., 741 გვ.

18. ექვთიმე თაყაიშვილი. [დაბადების 120 წლისთავის გამო] //მნათობი, 1983 წ., № 5, გვ. 138-147.

19. ვაჟა-ფშაველა [ცხოვრება და შემოქმედება], თბ., 1958, 48 გვ.

20. ვახტანგ კოტეტიშვილი//წგ-ში: ვ.კოტეტიშვილი, ქანდაკების ისტორია, თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963 წ., გვ. 3-43.

21. ვეფხისტყაოსნის ლირიკული პასაჟები//კრ. შოთა რუსთაველს, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1966 წ., გვ. 133-154.

22. ზურაბ წერეთელი//საბჭოთა ხელოვნება, 1984 წ., № 5, გვ. 48-54.

23. თანამდევი უკვდავი სული... ილია ჭავჭავაძე. თბ., „მეცნიერება“, 1987 წ., 132 გვ.

24. იაკობ გოგებაშვილი – ახალი ქართული პედაგოგიკის მამა//მნათობი, 1970 წ., № 7, გვ. 98-120.

25. ივანე თარბას პოეზია//წგ-ში: ი.თარბა, ლექსები და პოემები. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1976 წ., გვ. 3-16.

26. ივანე ჯავახიშვილი და ქართული ხელოვნებათმცოდნეობის პრობლემები// მნათობი, 1976 წ. № 12, გვ. 151-157.

27. ილია ჭავჭავაძე (1837-1907)//წგ-ში: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.4. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1974 წ., გვ. 34-115.

28. ილია ჭავჭავაძე. მონოგრაფია. თბ., „განათლება“, 1966 წ., 760 გვ.

29. ილია ჭავჭავაძე და პედაგოგიკის პრობლემები//სკოლა და ცხოვრება, 1978 წ., № 5, გვ. 34-45.

30. ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება და პოეზია. ნაწ. I, მე-2 გამოცემა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1983 წ., 512 გვ.

31. ილია ჭავჭავაძე. პროზა და მსოფლმხედველობა. ნაწ. II, მე-2 გამოცემა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1984 წ., 548 გვ.

32. ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხისათვის//მნათობი, 1948 წ., № 11, გვ. 125-140; № 12, გვ. 94-121.

33. იოსებ გრიშაშვილი//წგ-ში: ი.გრიშაშვილი, ერთტომეული. თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1955 წ., გვ. XI-XXXVIII.

34. კომედიები გიორგი ერისთავისა//ქუთაისის ა.წულუკიძის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ.I, 1940 წ., გვ. 94-108.

35. კომენსკი – მეტაფიზიკისა და სქოლასტიკის კრიტიკოსი//მნათობი, 1970 წ., № 12, გვ. 131-148.

36. კომენსკის ფილოსოფია. ტ. 1, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1978 წ., 296 გვ.

37. კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“//კრ. კონსტანტინე გამსახურდია. რუსთაველის პრემიის ლაურეატები. თბ., 1966 წ. გვ. 3-10.

38. კრიტიკული ეტიუდები. თბ., სახელგამი, 1945 წ., 204 გვ.

39. კრიტიკული ეტიუდები. თბ., სახელგამი, 1949 წ., 547 გვ.

40. კრიტიკული ეტიუდები. წგ. 1, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1958 წ., 460 გვ.

41. კრიტიკული ეტიუდები. წგ. 2, თბ., სახელგამი, 1955 წ., 444 გვ.

42. კრიტიკული ეტიუდები. ნაწ. 3, თბ., „ცოდნა“, 1959 წ., 356 გვ.

43. კრიტიკული ეტიუდები. ნაწ. 4, თბ., „ცოდნა“, 1963 წ., 570 გვ.

44. კრიტიკული ეტიუდები. წგ. 5, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1974 წ., 508 გვ.

45. კრიტიკული ეტიუდები. ტ. 6, თბ., „მეცნიერება“, 1981 წ., 470 გვ.

46. კრიტიკული ეტიუდები. ტ. 7, თბ., „განათლება“, 1987 წ., 500 გვ.

47. კრიტიკული ეტიუდები. ტ. 8, თბ., 1985 წ., 512 გვ.

48. ლადო გუდიაშვილი//კრ. ლადო გუდიაშვილი. რუსთაველის პრემიის ლაურეატები. თბ., 1966 წ., გვ. 5-14.

49. ლერმონტოვი – დიდი რუსი პოეტი//მნათობი, 1941 წ., № 6-7, გვ. 91-104.

50. ლირიკული გმირი ბარათაშვილისა//მნათობი, 1968 წ., № 8, გვ. 43-73.

51. ლიტერატურული საკითხები, ქუთაისი, მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება, 1935 წ., 88 გვ.

52. ლიტერატურული შეხედულებანი (ა.წულუკიძე)//წგ. ალექსანდრე წულუკიძე – რევოლუციონერი მოაზროვნე. თბ., 1975 წ., გვ. 171-209.

53. „მერანი“ ნ.ბარათაშვილისა//მნათობი, 1945 წ., №”1, გვ. 109-123.

54. მიხეილ ჯავახიშვილი//წგ-ში მ.ჯავახიშვილი, მოთხრობები, თბ., საბლიტგამი, 1957 წ., გვ. III-XXXX.

55. მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანი. [ლ.გუდიაშვილის გარდაცვალების გამო] //ლიტერატურული საქართველო, 1970 წ., 25 ივლისი.

56. მხატვრული შემოქმედების ნარკვევები. თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1946 წ., 223 გვ.

57. ნ.ბარათაშვილი და მ.ლერმონტოვი//მნათობი, 1936 წ., № 5-6, გვ. 179-216.

58. ნ.ბარათაშვილის უკანასკნელი დღეები//საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე, 1968 წ., № 1, გვ. 100-112.

59. ოდები უკვდავ შთაგონებათა (გ.ტაბიძის ლექსები)// ლიტერატურული საქართველო, 1981 წ., მაისი, გვ. 13.

60. პედაგოგიკა და მეთოდიკა. წერილები, მემორიალი. თბ., „განათლება“, 1974 წ., 396 გვ.

61. პლეხანოვის ესთეტიკური იდეალები (გ.ვ. პლეხანოვის დაბადების 100 წლისთავის გამო)//მნათობი, 1956 წ. № 12, გვ. 111-124.

62. პოეზიის მშვენება და სიამაყე [გ.ტაბიძის გარდაცვალების გამო] //კომუნისტი, 1959 წ., 21 მარტი, გვ. 3.

63. პოეტური კადენციები რუსთაველზე [ი.აბაშიძის ლექსების კრებული „პალესტინა, პალესტინა“] //კრ. ირაკლი აბაშიძე. თბ., 1966 წ., გვ. 3-21.

64. პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა. თბ., „ფედერაცია“, 1940 წ., გვ. 33-64.

65. რენესანსის ესთეტიკური იდეალები. ლეონარდო დავინჩი და დიურერი//საბჭოთა ხელოვნება, 1959 წ., № 2, გვ. 72-75; № 3, გვ. 65-68.

66. რიჰა პოეზიისა და რიჰა პოეზიაში [რ.მარგიანი. რიჰა. ლექსები] //მნათობი, 1981 წ., № 9, გვ. 144-153.

67. რომანი ჩვენს თანამედროვეობაზე [ა.ადამია. დიდი და პატარა ეკატერინე] //კრიტიკა, 1973 წ., № 5, გვ. 3-24.

68. რუსთაველი და თანამედროვეობა//საქართველოს კომუნისტი, 1966 წ., № 6, გვ. 64-73.

69. რუსთაველის ესთეტიკური სამყარო. თბ., „განათლება“, 1966 წ., 378 გვ.

70. რუსთაველის ეპოქის ქართული ქრონიკა. გრიგოლ აბაშიძის რომანები „ლაშარელა“, და „დიდი ღამე“//ცისკარი, 1967 წ., № 4, გვ. 109-121.

71. რუსთაველის პოეტიკა//მნათობი, 1966 წ., № 8, გვ. 126-143; № 9, გვ. 105-122.

72. სევერიან ისიანის პოეზია// წგ-ში: ს.ისიანი. შეხვედრა ქართან, ქუთაისი, „საბჭოთა საქართველო“, 1981 წ., გვ. 5-18.

73. სიტყვანი ქებისანი და სინანულისანი//კრ-ში: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. „ეძღვნება აკად. სიმონ ჯანაშიას დაბადების 70 წლისთავს. თბ., „მეცნიერება“, 1972 წ., გვ. 5-10.

74. უბერებელი და უკვდავი საიათნოვა//განთიადი, 1977 წ., № 5, გვ. 141-160.

75. „უკანასკნელი უბიხი“ [ბ.შინკუბას რომანი] ანუ ჯიქების ოდისეა//მნათობი, 1984 წ., № 11, გვ. 128-144; № 12, გვ. 122-137.

76. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა როგორც მეცნიერება, თბ., „მეცნიერება“, 1986 წ., 60 გვ.

77. ფერთა როლი ესთეტიკურ აღზრდაში//ცისკარი, 1966 წ., № 1, გვ. 95-111.

78. „ფილოსოფიური ხელოვნება“ (დაგვიანებული დიალოგი შ.ბოდლერთან) //ლიტერატურული საქართველო“, 1987 წ., 18 სექტემბერი, გვ. 14.

79. ფროიდის ფსიქოანალიტიკური ესთეტიკის კრიტიკისათვის. თბ., „ხელოვნება“, 1985 წ., 276 გვ.

80. ქართველ ხელოვანთა პორტრეტები [ი.ნიკოლაძე, ლ.გუდიაშვილი, ნ.კანდელაკი, ე.ახვლედიანი] //მნათობი, 1967 წ., № 7, გვ. 123-173.

81. ქართველოლოგიის სიამაყე//კრ-ში: ორიონი. აკაკი შანიძეს. საიუბილეო კრებული, მიძღვნილი დაბადების 80 წლისთავისადმი. თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1967 წ., გვ. 364-366.

82. ქართული მეცნიერების ბრძოლა სამამულო ომში გამარჯვებისათვის //საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 118, № 1, 1985 წ., გვ. 198-209.

83. ქართული საბჭოთა პროზა (1946-1954 წწ.)//მნათობი, 1954 წ., № 9, გვ. 95-116.

84. ქართული ფილოლოგიის პატრიარქი (კ.კეკელიძე)// კრ-ში: საიუბილეო კრებული, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1959წ., გვ. 425-449; მნათობი, 1959 წ., № 7, გვ. 156-165.

85. ყაზბეგი და თანამედროვეობა//კომუნისტი, 1948 წ., 2 ოქტომბერი, გვ. 2-3.

86. ყაზბეგის ესთეტიკა//ლიტერატურა და ხელოვნება, 1948წ., 21 ნოემბერი, გვ. 1, 28 ნოემბერი, გვ. 3-4.

87. შალვა დადიანი//მნათობი, 1944 წ., № 4-5, გვ. 116-177.

88. შალვა დადიანის საგალობელი//მნათობი, 1976 წ., № 3.

89. შალვა ნუცუბიძის „ხელოვნების თეორია". ზოგადი ისტორიული ასპექტი //მნათობი, 1979 წ., № 7, გვ. 145-165.

90. შოლოხოვის დიდი ტალანტის გვირგვინი//ლიტერატურული საქართველო, 1985 წ., 24 მაისი.

91. შოლოხოვის ეპოსი. მონოგრაფია. თბ., „მერანი", 1980წ., 519 გვ.

92. ხელოვნება და სინამდვილე. თბ., „საბჭოთა მწერალი", 1948 წ., 464 გვ.

93. ხელოვნების შორეულ ძეგლებთან [ევროპის გარშემო მოგზაურობის შთაბეჭდილებები] //მნათობი, 1979 წ., № 1, გვ. 67-90; № 2, გვ. 70-85.

94. ჰოგარტის ესთეტიკა//მნათობი, 1962 წ., გვ. 133-144: № 7, გვ. 149-159.

95. Системы Авиценны Абу Али Ибн-Сина. Экзотерический очерк (Некоторые обобщения и материалы). Тб., «Мецниереба», 1986 г. 199 с.

96. Aleksandre Kasbegi//Wissenschaftliche Zeitschrift. Friedrich-Schiller-Universität, Jena, 1977, Jahrgang. H 1, s. 81-87.

97. Higher and Special Secondary Education in Georgia. Tbilisi, Tbilisi university press, 1977. 30 s.

98. Methodes et moyens d'enseignement du géorgien comme langue etrangère. Paris, Unesco, 1984. 21 p.

99. Pedagogika vysokoj školy ako veda. Bratislava, 1979.

100. Der ästhetische Wert und der Preis des Erhabenen und die ästhetischen Kategorien //Georgica, 1983, Heft 6, p. 91-95.

გ.ჯიბლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

1913 წ. 10.V. – დაიბადა ქ. ქუთაისში.

1930 წ. – დაამთავრა ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა; – მიიღეს ალკკ რიგებში.

1930-1933 წწ. – სწავლობდა ტფილისის უნივერსიტეტში.

1931 წ. – მუშაობდა გაზ. „წითელარმიელის“ რედაქციაში კორექტორად და გაზ. „თავდაცვა ავიაქიმელის“ თანამშრომლად.

1932-1933 წწ. – გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ ლიტმუშაკია.

1933-1934 წწ. – გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანია.

1934-1937 წწ. – გაზ. „სტალინელის“ პასუხისმგებელი მდივანია.

1935-1937 წწ. – სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1935-1941 წწ. – ა.წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორია.

1937 წ. – მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარეა (შეთავსებით).

1937-1938 წწ. – გაზ. „სტალინელის“ რედაქტორის მოადგილეა.

1939 წ. – მიიღეს სკკპ რიგებში.

– თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“.

– აირჩიეს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

1940 წ. – დაქორწინდა ლილი გეგელაშვილზე.

1939-1941 წწ. – საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის წევრია.

– გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქტორია.

1940 წ. 26.VI. – შეეძინა ქალიშვილი მანანა.

1941-1946 წწ. – გაზ. „კომუნისტის“ რედაქტორის პირველი მოადგილეა.

1941-1954 წწ. – თბილისის სახ. უნივერსიტეტის დოცენტია.

1944 წ. – დაჯილდოვდა მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

1944-1946 წწ. – აირჩიეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელ მდივნად (შეთავსებით).

1946 წ. – დაჯილდოვდა მედლით „1941-1945 წწ. დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

– დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

– დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით.

1946-1951 წწ. – საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილეა.

1948 წ. – აირჩიეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

1948-1950 წწ. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ხელოვნება და სინამდვილე“.

1950 წ. 13.II. – შეეძინა ქალიშვილი მაია.

1951 წ. – აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-3 მოწვევის დეპუტატად.

1951-1953 წწ. – საქართვლეოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანია.

1952 წ. – მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1952-1956 წწ. – თბილისის სახ. უნივერსიტეტში მის მიერვე დაარსებული ჟურნალისტიკის კათედრის გამგეა.

1953 წ. – აირჩიეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად.

– საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგეა.

1953-1960 წწ. – საქართველოს სსრ განათლების მინისტრია.

1954 წ. – მიენიჭა პროფესორის წოდება.

1954 წ. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

– აირჩიეს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად.

1955 წ. – აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-4 მოწვევის დეპუტატად.

– აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1957 წ. – განათლების მუშაკთა ჟენევის XX საერთაშორისო კონფერენციის საბჭოთა დელეგაციის წევრია.

1959 წ. – აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-5 მოწვევის დეპუტატად.

– აირჩიეს რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1959-1964 წწ. – აირჩიეს რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

1960 წ. – აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

– დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

1960-1961 წწ. – საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანია.

1960-1963 წწ. – აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

1963 წ. – მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1963-1965 წწ. – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეა.

1964 წ. – დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

1964 წ. 12.XII. – შეეძინა შვილიშვილი გიორგი ჩოგოვაძე.

1965-1980 წწ. – საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრია.

1966 წ. – დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით (მეორედ).

– აირჩიეს სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელ წევრად.

1966-1969 წწ. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერვე დაარსებული ესთეტიკის კათედრის გამგეა.

1967 წ. – უმაღლესი სკოლების მუშაკთა მონრეალის საერთაშორისო გამოფენის დელეგაციის წევრია.

– პრაღის იან ამოს კომენსკის ინსტიტუტის მეცნიერთათვის წაიკითხა ლექცია – „კომენსკის ფილოსოფია“.

– აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-7 მოწვევის დეპუტატად.

1969 წ. – მიენიჭა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის: „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი“. ტ. 1, თბ., 1968 წ.

1971 წ. – აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-8 მოწვევის დეპუტატად.

1973 წ. 19.VIII. – შეეძინა შვილიშვილი ირაკლი ჩოგოვაძე.

– დაჯილდოვდა ნადეჟდა კრუპსკაიას სახელობის მედლით.

1974 წ. 26.XI. – შეეძინა შვილიშვილი მანანა თავხელიძე.

1975 წ. – აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-9 მოწვევის დეპუტატად.

1976 წ. – დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით (მესამედ).

– აირჩიეს სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

1979 წ. – დაჯილდოვდა ჩეხოსლოვაკიის იან ამოს კომენსკის მედლით შრომისათვის: «Философия Коменскского», Т., I. Тб., 1973 г.

1980 წ. – აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-10 მოწვევის დეპუტატად.

1980-1988 წწ. – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდიუმის წევრია.

1983 წ. – დაჯილდოვდა ლენინის ორდენით (მეორედ).

– მიენიჭა კ.დ. უშინსკის სახელობის პრემია შრომისათვის: «Философия Коменскского», Мзд. 2-е. М., 1982 г.

1984 წ. 27.V. – თბილისის ზღვაზე ტრაგიკულად დაეღუპა შვილიშვილი გიორგი.

1985 წ. – აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-11 მოწვევის დეპუტატად.

– აირჩიეს სიფხიზლისათვის ბრძოლის საქართველოს ნე-ბაყოფლობითი საზოგადოების თავმჯდომარედ.

1986 წ. – აირჩიეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

1987 წ. – მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მონო-გრაფიებისათვის: „ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება და პოეზია“. ნაწ. 1. თბ., 1983 წ: „ილია ჭავჭავაძე. პროზა და მსოფლ-მხედველობა“. ნაწ. 2. თბ., 1984 წ.

1988 წ. – დაინიშნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩევლად.

1989 წ. 23. IX. – გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

სხედან (მარცხნიდან): ალექსანდრე ბარამიძე, ისიდორე დოლიძე, გიორგი ჯიბლაძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, სერგო დურმიშიძე, ირაკლი აბაშიძე;
დგანან: შალვა მიქელაძე, ირაკლი ტატიშვილი, გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ასათიანი, ოთარ ონიაშვილი, ნიკოლოზ ვეკუა, პეტრე გამყრელიძე, გიორგი ჭოღოშვილი. 1961 წ.

ზ. ფორაქიშვილი, ს. ჭილაია, გ. ჯიბლაძე, ი. ვეკუა,
ლ. გეგელაშვილი, ი. ბოცვაძე. 1973 წ.

აკაკი შანიძესთან, 19/X-83



დიმიტრი მელაძე, გიორგი ახვლედიანი, გიორგი ჯიბლაძე

აკადემიკოსები გიორგი ჯიბლაძე და ვიქტორ კუპრაძე, 1973 წელი, ფილარმონიის დარბაზი. გ. ჯიბლაძის 60 წლის იუბილეზე.

ცხინვალი, ევგენი ხარაძესთან ერთად. 6 თებერვალი

მოსკოვი, მწერალთა კავშირი, 1958 წ.

ვეშინსკაია. მიხეილ შოლოხოვთან. 1961 წ.

გ. ჯიბლაძე, ბ. პოლევოი, ი. ნონეშვილი, 1970.

მწერალი გიორგი გულია და გიორგი ჯიბლაძე. მოსკოვი.
„Литературная Газета“-ს რედაქცია. 1969 წლის
16 სექტემბერი. ქართველი მეცნიერების დღეები მოსკოვში.

გიორგი ჯიბლაძე და მორის ტორეზი. 1961 წ.

მოსკოვში, დეკადაზე, 1954 წ.

სერგო ზაქარიაძესთან

მოსკოვი. მცირე თეატრის წინ. 1967 წ. გიორგი ჯიბლაძე, მაია ჯიბლაძე და ვასო გოძიაშვილი

გიორგი ჯიბლაძე,
ლადო გუდიაშვილი

გიორგი ჯიბლაძე და უჩა ჯაფარიძე

ПРИВЕТ
УЧАСТНИКАМ
ДЕКАДЫ
грузинского
искусства и
литературы





გალაკტიონ ტაბიძესთან. მარჯვნიდან მარცხნივ: ირ. ხანთაძე, გ. კეშელავა, გ. ჯიბლაძე, პ. შელეგია, გ. ტაბიძე, ი. ზარდალიშვილი, მ. დავითაშვილი, მ. ასათიანი, ნ. აგიაშვილი. ქუთაისი, 1934 წ.

ბ. ჟღენტი, ნ. ჟღენტი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯიბლაძე, ირ. აბაშიძე. საგურამო. 1955 წ.

გ. ლეონიძესთან ერთად

სტუმრად შოლოხოვთან

ჟენევაში, საერთაშორისო
კონფერენციაზე, 1957 წ.

სოხუმი, უნივერსიტეტი,
სიმონ ჯანაშიას
დაბადების 80 წლისთავი.
1970 წ.



გ. ჯიბლაძე და
ეფრემ
კათალიკოსი.
1970 წ.

კონსტანტინე გამსახურდიას დაკრძალვა
(პროცესია რუსთაველის გამზირზე), 1979 წლის ივლისი

გალაკტიონის დაკრძალვა. მთაწმინდა. 1959 წ.

გამზრდელი ბაბუა
სარდიონ აბესაძე

დედა – ივლიტა
კიკალეიშვილი

მამა – ბიკოლოზ (კოლია) ჯიბლაძე, ცნობილი ქართველი მფრინავი.
გაფრენის წინ. 1932-1933 წლები)

გიორგი დედასთან



18 წლის გ. ჯიბლაძე

ლილი და გიორგი ჯიბლაძეები

ჯიბლაძეების ოჯახი. 1950 წ.





შვილიშვილებთან
მანანიკო თავხელიძესა
და ირაკლი ჩოგოვაძესთან



შვილიშვილებთან
გოგლიკა ჩოგოვაძესა და
მანანიკო თავხელიძესთან

გოგლიკასთან ერთად

ირაკლი
და მანანიკოსთან
ერთად

გოგლიკასთან
ერთად

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა
2013